



# მართლმადიდებლური დამოკიდებულება რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში „დაურეგულირებულ ვითარებაში მყოფი წყვილებისა და ერთნაირსქესიანი წყვილების“ კურთხევის ახალ პრაქტიკასთან მიმართებით

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის, კირილეს ლოცვა-კურთხევით, სინოდალურმა ბიბლიურ-საღვთისმეტყველო კომისიამ შეიმუშავა დოკუმენტი „მართლმადიდებლური დამოკიდებულება რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში „დაურეგულირებულ ვითარებაში მყოფი წყვილებისა და ერთნაირსქესიანი წყვილების“ კურთხევის ახალ პრაქტიკასთან მიმართებით.

## შესავალი

„დაურეგულირებულ ვითარებაში მყოფი წყვილებისა და ერთნაირსქესიანი წყვილების“<sup>[1]</sup> კურთხევის ახალი პრაქტიკა წარმოდგენილია დოკუმენტში „Fiducia supplicans“ (ლათ. „ნდობის თხოვნა“), რომელიც მიღებულია რომაულ-კათოლიკური ეკლესიის სარწმუნოებრივი სწავლების კონგრეგაციის მიერ. დოკუმენტი გამოქვეყნდა ვატიკანის ოფიციალურ რესურსებზე 2023 წლის 18 დეკემბერს. ის ხელმონერილია კონგრეგაციის პრეფექტის, კარდინალ მანუელ ფერნანდესისა და დოქტრინალური განყოფილების მდივნის, არმანდო მატეოს მიერ, და დაამტკიცა და ხელი მოაწერა მას პაპმა ფრანცისკემ.

დეკლარაცია „Fiducia supplicans“ არის პასუხი კათოლიკური საზოგადოების კითხვებზე, „ერთნაირსქესიანი წყვილების“ კურთხევის შესახებ სარწმუნოებრივი სწავლების კონგრეგაციის დოკუმენტთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი თარიღდება 2021 წლის 22 თებერვლით<sup>[2]</sup>, და მასში პირდაპირ არის ნათქვამი „ერთნაირსქესიანთა კავშირის“ კურთხევის შეუძლებლობაზე. სარწმუნოებრივი სწავლების კონგრეგაციის ახალ დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია რომის პაპის მიერ, ეს ცალსახა პოზიცია შეცვლილია: შემოთავაზებულია გარკვეულ პირობებში ისეთი წყვილების კურთხევის შესაძლებლობა, რომლებიც „დაურეგულირებულ ვითარებაში“ და „ერთნაირსქესიანთა თანაცხოვრებაში“ იმყოფებიან.

„Fiducia supplicans“-ის დეკლარაციაში გამოთქმული იდეები წარმოადგენს მნიშვნელოვან გადახრას ქრისტიანული ზნეობრივი სწავლებიდან და თეოლოგიურ ანალიზს მოითხოვს.

## 1. აღნიშნულ დოკუმენტში კურთხევის „კლასიკური“ და „გაფართოებული“ გაგების შესახებ

კურთხევის მთავარი ატრიბუტი, დეკლარაციის თანახმად, წარმოადგენს აღნიშნული აქტის მიმართულობას „ღვთის დიდებაზე და მისი ერის სულიერ სარგებლობაზე“**[3]**. კურთხევის „კლასიკური“**[4]** გაგება „მოითხოვს, რომ ის, რაც იკურთხება, შესაბამებოდეს ეკლესიის სწავლებაში გამოხატულ საღვთო ნებას“**[5]**.

თუმცა, დეკლარაციის შემდგომი ლოგიკა მიმართული კურთხევის მნიშვნელობის კლასიკური გაგების „გაფართოებისა“ და „გამდიდრებისკენ“. ამ ახალი გაგების საფუძველად მითითებულია რომის პაპის, ფრანცისკეს მოსაზრება „ერთი ან რამდენიმე პირის მიერ კურთხევის ფორმების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც არ შეიცავს ქორწინების შესახებ მცდარ წარმოდგენებს“**[6]**. ეს მოსაზრება გამოთქმული იყო 2023 წელს ვატიკანის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ „პასუხებში ორი კარდინალის მიერ წარმოდგენილ კითხვებზე“**[7]**. იგი შეიცავდა მონოდებას „არ დაფუტვით სამწყემსო გულმონყალება... და არ ვიყოთ „მსაჯულები, რომლებიც მხოლოდ უარყოფენ, უკუაგდებენ, გამორიცხავენ“**[8]**, რამაც სარწმუნოებრივი სწავლების კონგრეგაცია აღძრა იმად, რომ ჩამოეყალიბებინა „განსაკუთრებული და ინოვაციური წვლილი კურთხევის სამწყემსო მნიშვნელობაში, რაც მათ საშუალებას აძლევს გააფართოონ და გაამდიდრონ თავიანთი კლასიკური გაგება ლიტურგიკული თვალსაზრისით“**[9]**.

კურთხევის გაგების „გაფართოება“ ემყარება მხოლოდ იმ თეზისს, რომ მრავალრიცხოვანმა მორალურმა დადგენილებამ „შეიძლება დაჩრდილოს საღვთო სიყვარულის უპირობო ძალა, რომელსაც ეფუძნება კურთხევის ჟესტი“**[10]**. ამ თეზისიდან გამომდინარე, დეკლარაციის ავტორები ისეთი სიტუაციების თავიდან აცილებას გვთავაზობენ, როდესაც „უბრალო კურთხევისთვის საჭირო გახდებოდა იგივე ზნეობრივი პირობების დაცვა, როგორც საიდუმლოებათა მიღებისას“**[11]**.

მორალური პრინციპების დაცვის მოუთხოვნელობა მათგან, ვინც იკურთხება, აიხსნება იმის სურვილით, რომ ღვთის სიყვარული არ დაიჩრდილოს. მაგრამ ადამიანის მიმართ ღვთის სიყვარული არ შეიძლება გახდეს ცოდვილ თანაცხოვრებაში მყოფი წევრების კურთხევის საფუძველი. ღმერთს უყვარს ადამიანი, მაგრამ იმავდროულად მას სრულყოფილებისკენ მოუწოდებს: „იყავით სრულყოფილნი, როგორც სრულყოფილია თქვენი ზეციერი მამა“ (მთ. 5:48). ღვთის სიყვარული ადამიანს მოუწოდებს, უარი თქვას სიცოცხლის გამანადგურებელ ცოდვაზე. შესაბამისად, ადამიანზე სამწყემსო ზრუნვაც ჰარმონიულად უნდა აერთიანებდეს ცოდვილი ცხოვრების წესის დაუშვებლობის მკაფიო მითითებას და სინანულთან მიმყვანებელ სიყვარულს.

დოკუმენტში არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს „დაურეგულირებული ვითარება“. ვინაიდან „ერთნაირსქესიანთა წყვილები“ ცალკე კატეგორიად არის გამოყოფილი, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დაურეგულირებული ვითარება“ გულისხმობს მამაკაცისა და ქალისა ისეთ თანაცხოვრებას, რომელიც არ არის ქორწინების საიდუმლოთი განწმენილი.

„Fiducia supplicans“-ის დოკუმენტში არაფერია ნათქვამი კურთხევის მიღებამდე ურთიერთობის კანონიკური „დარეგულირების“ აუცილებლობაზე. შესაბამისად, საუბარია ირიბი ლეგიტიმაციის ერთგვარი ფორმის შემოღებაზე, რაც, არსებითად, არალეგიტიმურია, მიუხედავად დოკუმენტში აღნიშნული წინაპირობისა იმის თაობაზე, რომ ასეთი კურთხევის მოთხოვნით, ადამიანი, რომელიც „დაურეგულირებულ“ თანაცხოვრებაში იმყოფება, თითქოს „არ აპირებს რაიმეს დაკანონებას, არამედ მხოლოდ უცხადებს თავის ცხოვრებას ღმერთს და ითხოვს მის დახმარებას, რომ უკეთ იცხოვროს და, ასევე, იხმობს სულიწმიდას, რათა სახარებისეული ფასეულობები უფრო ერთგულად დაიცვას“**[12]**.

დეკლარაციაში ცოდვის ცნება რამდენჯერმე გვხვდება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ღვთის სიყვარულის, მიტევებისა და კურთხევის შესახებ მსჯელობის კონტექსტში: „წუთისოფლის ცოდვა უზარმაზარია, მაგრამ ის არ არის უსასრულო“**[13]**; „მამასადამე, ჩვენ ღმერთისთვის უფრო მნიშვნელოვნები ვართ, ვიდრე ყველა ის ცოდვა, რომლებიც შეიძლება ჩავიდინოთ“**[14]**; „როცა ადამიანი აცნობიერებს უფლის საბოძვარს და მის უპირობო სიყვარულს, თუნდაც ცოდვის დროს, განსაკუთრებით როცა ლოცვა შესმენილია, მორწმუნის გული ადიდება ღმერთს და აკურთხებს მას“**[15]**; „თვით საეკლესიო ლიტურგია მოგვინოდება ცოდვებს შორისაც კი ასეთი ნდობისკენ“**[16]**; „ღმერთთან ურთიერთობა რომც იყოს ცოდვით შებლალული, მაინც ყოველთვის შეიძლება მისკენ ხელის განვდენა და კურთხევის თხოვნა, როგორც ეს პეტრემ გააკეთა ქარიშხლის დროს“**[17]**.

დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი ცოდვასთან ბრძოლაზე, ცოდვილი ცხოვრების უარყოფაზე, ცოდვის დაძლევაში მორწმუნისათვის სამწყემსო დახმარების განევაზე. დეკლარაციის ტექსტი ისეა შედგენილი, რომ მისგან შეიძლება დავასკვნათ, თითქოს ცოდვილი ცხოვრების წესი არ წარმოადგენს დაბრკოლებას ღმერთთან ზიარებისთვის. დეკლარაცია სრულიად დუმს სინანულის საიდუმლოზე, როგორც საღვთო მადლის მიღების აუცილებელ წყაროზე ყველასთვის, ვისაც სურს თავის ცხოვრებაში გამოასწოროს ყველაფერი, რაც შეუსაბამოა ღვთის ნებასთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დეკლარაციაში მოყვანილი პაპ ფრანცისკეს მოსაზრება კურთხევის მოთხოვნელთა მოტივებზე: „როდესაც ადამიანი კურთხევას ითხოვს, მაშინ ის დახმარებისთვის ღმერთს მიმართავს. ეს არის ვედრება იმის შესახებ, რომ უკეთესად იცხოვროს; ეს არის მამისადმი ნდობა, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს, რომ უკეთესად ვიცხოვროთ“**[18]**. ცოდვილ კავშირში მცხოვრები წყვილის კურთხევასთან დაკავშირებით, ვერ დავეთანხმებით, რომ ყველა, ვინც კურთხევისთვის მოდის, სწორედ ამ მოტივით ხელმძღვანელობს. მათთვის, ვინც აცნობიერებენ თავიანთი მდგომარეობის სულიერ საშიშროებას და სურთ, დახმარებისთვის ღმერთს მიმართონ, უფრო ბუნებრივი და სწორი იქნებოდა კურთხევისა და სულიერი დახმარებისთვის მიმართათ არა როგორც წყვილს, არამედ თითოეულს დამოუკიდებლად, რათა განმტკიცებულიყვნენ ცოდვილი ცხოვრების წესის უარყოფის გადამწყვეტილებაში. სავსებით მოსალოდნელია, რომ წყვილმა, რომელიც კურთხევას ითხოვს ცოდვილი ცხოვრების წესზე უარის თქმის სურვილის გარეშე, მხოლოდ სინდისის დასამშვიდებლად მოისურვოს თავისი ურთიერთობის ლეგიტიმაცია, რომელიც შეუსაბამოა ქრისტიანული ცხოვრების ნორმებთან.

## 2. „ერთნაირსქესიანი წყვილების“ კურთხევის შესახებ

დეკლარაციის ავტორები აცხადებენ, რომ კათოლიკური ეკლესია გამოდის ქორწინების იმ გაგებიდან, რომ „განსაკუთრებული, სტაბილური და განუყოფელი კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის, ბუნებრივად გულისხმობს შვილების გაჩენას“**[19]**. ქორწინების ეს გაგება შეესაბამება მართლმადიდებლურ სწავლებას, რომელიც ასახულია, კერძოდ, „ეკლესიური ქორწინების კანონიკური ასპექტების შესახებ“ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დოკუმენტში: „ეკლესია კატეგორიულად არ ცნობს და არც არასდროს სცნობს ერთი და იმავე სქესის პირთა კავშირს, როგორც ქორწინებას, მიუხედავად სამოქალაქო კანონმდებლობით ასეთი კავშირის ქორწინებად აღიარებისა თუ არაღიარებისა, აგრეთვე, თანაცხოვრების სხვა ფორმებს, რომლებიც არ შეესაბამება ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირის, ადრე მოცემულ განსაზღვრებას“**[20]**.

თუმცა, ქორწინების, როგორც ეკლესიის მიერ კურთხეული მამაკაცისა და ქალის კავშირის ხელშეუხებელ დებულებასთან ერთად, „Fiducia supplicans“-ის ტექსტი აცხადებს „ერთნაირსქესიანი წყვილების“ კურთხევის შესაძლებლობას. დოკუმენტის მთელი ნაწილი, რომელიც ამ კურთხევებს ეძღვნება, რადიკალურ წინააღმდეგობაშია ქრისტიანულ ზნეობრივ სწავლებასთან.

დოკუმენტი, ფაქტობრივად, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის თანაცხოვრებას უთანაბრებს ქორწინების გარეშე ჰეტეროსექსუალურ თანაცხოვრებას. ამასთან, სხვადასხვა სქესის პირებს შორის ქორწინების გარეშე თანაცხოვრება ასახულია კათოლიკური ეკლესიის კანონიკურ სამართალში, მაშინ როდესაც „ერთნაირსქესიანი წყვილების“ კურთხევა – ახალი მოვლენაა.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ასეთ თანაცხოვრებაში მყოფი პირები კურთხევის მისაღებად არ საჭიროებენ ცხოვრების წესის არანაირ ცვლილებას. ყოველგვარი წინაპირობის გარეშე „ვინც აღიარებს საკუთარ თავს შეჭირვებულად და საჭიროებს ღმერთის დახმარებას, მაგრამ არ მოითხოვს საკუთარი სტატუსის ლეგიტიმურობას, არამედ ითხოვს, რომ ყველაფერი, რაც მართალია, კეთილია და ადამიანურად სინამდვილეა მის ცხოვრებასა და ურთიერთობებში, შეეცოს, განიკურნოს და ამაღლდეს სულიწმიდის მეშვეობით“**[21]**, შეუძლია მიიღოს კურთხევა, რომელიც გარდამოდის იმისთვის, „რომ ადამიანური ურთიერთობები მომნიშვნელო და გაიზარდოს სახარების უწყების ერთგულებაში, განთავისუფლდეს არასრულყოფილებისა და სისუსტისგან და გამოხატოს საკუთარი თავი საღვთო სიყვარულის უფრო დიდ განზომილებაში“**[22]**.

კურთხევის „გაფართოებული“ გაგების აღნიშნული გამოყენება „ერთნაირსქესიან წყვილებთან“ მიმართებით, ინვესს პრინციპულ უთანხმოებას. თუკი კურთხევის მიზანია ადამიანური ურთიერთობების განკურნება სულიწმინდის მეშვეობით, მაშინ ასეთი განკურნება ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ ცოდვილი ურთიერთობების შეწყვეტა. იმისათვის, რომ „მომნიფდეს და გაიზარდოს სახარების უწყების ერთგულებაში“, და ასეთმა წყვილმა უნდა დაუტეოს ამ უწყებასთან შეუსაბამო ურთიერთობა. სხვა შემთხვევაში კურთხევა ცოდვის გამამართლებელი ხდება. ამრიგად, დეკლარაციის ლოგიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც წინააღმდეგობრივი ქრისტიანულ ზნეობრივ სწავლებასთან.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცოდვილ კავშირში მყოფ პირებს უნოდებენ „შეჭირვებულებს“<sup>[23]</sup>, თითქოს მორალური ნაკლი არ გულისხმობდეს მათ გაცნობიერებულ და თავისუფალ არჩევანს. აქცენტი გადადის ცოდვილის ზნეობრივი გადაწყვეტილების მიღების ფაქტის გაცნობიერებიდან მისი მდგომარეობის სანყალობელ ხასიათზე.

„Fiducia supplicans“-ის დოკუმენტში არ არის დეფინირებული „ერთნაირსქესიანთა თანაცხოვრება“, როგორც ცოდვა. საპირისპირო მაგალითს ამ შემთხვევაში წარმოადგენს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია, რომელიც იძლევა ერთნაირსქესიანთა ურთიერთობის გააზრებას დოკუმენტში – „სოციალური კონცეფციის საფუძვლები“, სადაც ჰომოსექსუალობა პირდაპირ და ცალსახად მიჩნეულია „ადამიანური ბუნების ცოდვილ დაზიანებად, რომლის დაძლევა ხდება სულიერი ძალისხმევით, რასაც მოჰყვება ადამიანის განკურნება და პიროვნული ზრდა“<sup>[24]</sup>.

დოკუმენტში „ერთნაირსქესიანი წყვილების“ კურთხევა გათანაბრებულია „დაურეგულირებულ მდგომარეობაში“ მყოფ წყვილების კურთხევასთან. ორივე შემთხვევაში ეს კურთხევა გამოდის როგორც ქორწინების საიდუმლოს, ისე ლიტურგიკული წეს-განგების ფიქსირებული ჩარჩოების გარეთ. ამასთან, დოკუმენტში მოცემული პრაქტიკული რეკომენდაციები არანაკლებ ორაზროვანია, ვიდრე ის საღვთისმეტყველო პოზიციები, საიდანაც ისინი გამომდინარეობს.

დოკუმენტის სიტყვებით, „კეთილგონიერებამ და სამწყემსო სიბრძნემ შეიძლება უკარნახოს, რომ მორწმუნეთა შორის ცდუნების ან მჭმუნვარების სერიოზული ფორმების თავიდან ასაცილებლად, ხელთდასხმული მსახური შეუერთდეს იმ ადამიანთა ლოცვებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებიან ისეთ კავშირში, რომელიც ვერანაირად ვერ შეედრება ქორწინებას, მაგრამ სურთ, მიანდონ საკუთარი თავი უფალს და მის წყალობას, მოიხმონ მისი დახმარება და ესწრაფონ სიყვარულისა და ჭეშმარიტების მისეული განგებულების უკეთ გააზრებას“<sup>[25]</sup>. კურთხევის ფორმა, რომელიც გამოიყენება „დაურეგულირებული სიტუაციაში“ მყოფი პირებისა და „ერთნაირსქესიანთა წყვილებისთვის“, „არ უნდა იყოს რიტუალურად დამტკიცებული საეკლესიო ხელისუფლების მხრიდან, რათა არ მოხდეს ქორწინების საიდუმლოსთვის დამახასიათებელ კურთხევასთან მისი აღრევა“<sup>[26]</sup>.

სხვა სიტყვებით, დეკლარაციის ავტორები საშიშროებას ხედავენ არა თავად „დაურეგულირებულ სიტუაციაში“ ან „ერთნაირსქესიანთა თანაცხოვრებაში“, არამედ იმ ცდუნებაში, მჭმუნვარებაში ან აღრევაში, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მორწმუნეებს შორის იმის გამო, რომ მღვდლის მიერ მიცემული კურთხევა გარეგნულად ქორწინების საიდუმლოს მსგავსი იქნება. იმავე შედეგების თავიდან ასაცილებლად, დეკლარაცია განსაზღვრავს, რომ ასეთი წყვილების კურთხევა „არ წარმოადგენს

ლიტურგიკული რიტუალის ნაწილს“[27].

ერთი მხრივ, ქორწინების, როგორც მამაკაცსა და ქალს შორის კავშირის, შესახებ საეკლესიო სწავლებასა და, მეორე მხრივ, „ერთნაირსქესიანი წყვილების“ კურთხევის „ინოვაციური“ პრაქტიკის დანერგვას შორის დაპირისპირებიდან გამოსვლას დეკლარაციის ავტორები იმაში ხედავენ, რომ ასეთი კურთხევები უნდა იყოს „სპონტანური“: „აგრეთვე უნდა განვითარდეს ხელთდასხმული მღვდელმსახურების მწყემსური მგრძობელობა, რათა სპონტანურად აღასრულონ კურთხევები, რომლებიც არ შეიცავს „De Benedictionibus“-ს“[28].

ამგვარად, სასულიერო პირები პირდაპირ არიან ნახალისებულნი, გამოიგონონ რიტუალები, რომლებიც არ შედის ლიტურგიკულ კრებულში De Benedictionibus („კურთხევანი“), სადაც შეტანილია კურთხევების წეს-განგებები სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და სტატუსის ადამიანებისთვის. „ერთნაირსქესიანი წყვილების“ კურთხევა, ისევე როგორც „დაურეგულირებულ“ ურთიერთობებში მყოფი წყვილების კურთხევა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის კურთხევასთან ერთ რიგშია დაყენებული. თუმცა, ეს მიდგომა კვლავ უგულებელყოფს იმის აუცილებლობის თანხმობას ღვთის ნებასთან, რაც იკურთხება. ნაცვლად ამისა, მღვდლებს მოუწოდებენ „სპონტანურად“[29] აკურთხონ ის წყვილები, რომლებიც ეკლესიის ზნეობრივი სწავლების საწინააღმდეგო თანაცხოვრებაში იმყოფებიან.

შემფოთება იმის გამო, რომ „ეს არარიტუალიზებული კურთხევები... არ იქცეს საიდუმლოთა მსგავს ლიტურგიკულ ან პარალიტურგიკულ აქტებად“[30], დოკუმენტში არაერთხელ ისმის სხვადასხვა ფორმით. მაგრამ ამ შემფოთების ახსნა შემდეგნაირად არის გადმოცემული: „ეს იქნებოდა სერიოზული გაღატაკება, რადგან ის ზედმეტ კონტროლს დაუქვემდებარებდა ხალხის ღვთისმოსაობაში დიდი მნიშვნელობის მქონე ყველა, რაც ხალხის სიცოცხლეზე სამწყემსო ზრუნვაში მსახურებს თავისუფლებასა და სპონტანურობას ჩამოართმევდა“[31].

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, საშიშროება ის კი არ არის, რომ ასეთი წყვილების კურთხევა ეკლესიის თვალსაზრისით უკანონო თანაცხოვრების ნახალისებად გამოიყურება, არამედ მხოლოდ ის, რომ თუკი ასეთი კურთხევა მიახლოებული იქნება ლიტურგიკის დადგენილ ფორმებთან, მაშინ ზედმეტ ფორმალისმს მიანიჭებს აქტს, რომელიც მოიაზრება როგორც „სპონტანური“.

სწორედ ამ მიზეზით, დოკუმენტის ავტორთა აზრით, „არ არის საჭირო დაურეგულირებულ ვითარებაში მყოფი წყვილების არც ნახალისება და არც მათთვის კურთხევის შეთავაზება“. აღნიშნული კურთხევა „არასდროს უნდა შესრულდეს სამოქალაქო ქორწინების ცერემონიასთან ერთად ან მასთან კავშირში. არ უნდა იყოს, ასევე, გამოყენებული ჩაცმულობა, შესტები ან სიტყვები, რომლებიც ქორწინებას შეეფერება. იგივე ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც კურთხევას ითხოვს ერთნაირსქესიანთა წყვილი“. ასეთი კურთხევა, დოკუმენტის მიხედვით, შეიძლება გადაეცემოდეს ისეთ კონტექსტებში, როგორებიცაა „სინმინდების მონახულება, მღვდელთან შეხვედრა, ჯგუფურად წარმოთქმული ლოცვა ან მომლოცველობა“[32].

ყველა ზემოწამოთვლილი რეკომენდაცია წარმოადგენს მცდელობას, თავიდან აიცილონ „ერთნაირსქესიანთა თანაცხოვრების“ ცოდვად აღიარება, ცოდვილი ცხოვრების წესის უარყოფის აუცილებლობა, და ამის ნაცვლად ჰქმნიან ილუზიას, რომ შეგნებული არჩევანი ცოდვილი ცხოვრების წესის სასარგებლოდ არ ართმევს წყვილს ღვთის კურთხევას.

### 3. დეკლარაციაზე რეაქცია კათოლიკურ სამყაროში

კათოლიკურ სამყაროში ფართო რეზონანსი გამოიწვია დეკლარაციამ „Fiducia supplicans“. მას დადებითად გამოეხმაურნენ კათოლიკური ეკლესიის ლიბერალური ფრთის და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები. იმავდროულად, ტრადიციულად მოაზროვნე მრავალი კათოლიკე ღრმად იმედგაცრუებულია დეკლარაციით. მასთან საკუთარ უთანხმოებას გამოხატავენ კათოლიკური ეკლესიის სხვადასხვა ადგილობრივი სტრუქტურებიც.

კერძოდ, ასტანაში 2023 წლის 19 დეკემბრის კათოლიკური მთავარეპარქიის განცხადებაში ნათქვამია: „ასეთი კურთხევა პირდაპირ და სერიოზულად ეწინააღმდეგება საღვთო გამოცხადებას და კათოლიკური ეკლესიის ორათასწლოვან განუყოფელ სწავლებასა და პრაქტიკას. დაურეგულირებულ სიტუაციებში მყოფი წყვილებისა და ერთნაირსქესიანი წყვილების კურთხევა არის ღვთის უწმინდესი სახელის მძიმე შეურაცხყოფა, რადგან მას იხმობენ მრუშობის ან ჰომოსექსუალური აქტის ოფიციალური ცოდვილი კავშირის საკურთხევლად“ [33].

ნიგერიის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციამ 2023 წლის 20 დეკემბრის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კათოლიკური ეკლესიის სწავლება ქორწინების შესახებ უცვლელი რჩება. ამგვარად, საეკლესიო სწავლების თანახმად, შეუძლებელია ერთნაირსქესიანთა კავშირების კურთხევა“ [34].

უნგრეთის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის 2023 წლის 27 დეკემბრის განცხადების თანახმად, „ყველა ადამიანი, განურჩევლად მათი გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციისა, შეიძლება ინდივიდუალურად იყოს დალოცვილი, მაგრამ საერთო კურთხევა წყვილებისა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ უბრალო პარტნიორობით, არაეკლესიური ქორწინებით ან ერთნაირსქესიანთა კავშირები ყოველთვის თავიდან უნდა იქნეს აცილებული“ [35].

ბელარუსის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის 2024 წლის 1 თებერვლით დათარიღებულ განცხადებაში ნათქვამია: „ბელარუსის კათოლიკური ეკლესია არ აპირებს პრაქტიკაში განახორციელოს დაურეგულირებულ კავშირში მყოფი წყვილებისა და ერთნაირსქესიანი წყვილების კურთხევის დეკლარაციით შემოთავაზებული შესაძლებლობა... არალიტურგიკული კურთხევა შეიძლება მიენიჭოს ყველას, ვინც ამას ითხოვს. თუმცა, აუცილებელია, ყოველთვის იქნეს თავიდან აცილებული ეგრეთ წოდებულ „სამოქალაქო ქორწინებაში“ მცხოვრები წყვილების კურთხევა, ასევე კანონიკურად ბათილი

ქორწინებები და ერთნაირსქესიანი წყვილების კავშირები. ასეთი კურთხევა შეიძლება სხვა მორწმუნეებმა აღიქვან, როგორც ცოდვაზე თანხმობა“[36].

2024 წლის 28-29 თებერვალს გამართული რუსეთის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის (KKEP) პლენარული ასამბლეის LIX სხდომის შესახებ საინფორმაციო შეტყობინებაში ნათქვამია: „იმ გაურკვევლობების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიშვა Fiducia supplicans-ის დეკლარაციასთან დაკავშირებით, KKEP-მა საჭიროდ ჩათვალა ხაზგასმით აღენიშნა, რომ კათოლიკური დოქტრინა ოჯახისა და ქორწინების შესახებ უცვლელი რჩება... ცდუნებისა და დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, KKEP ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ნებისმიერი სახის წყვილის კურთხევა, რომელიც ფიუტად აგრძელებს ისეთ ურთიერთობას, რაც არ არის რეგულირებული ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით (თანაცხოვრება, მეორედ ქორწინება, ერთნაირსქესიანთა კავშირი), დაუშვებელია“[37].

## დასკვნები

„Fiducia supplicans“-ის დეკლარაცია, მართალია, ფორმალურად ერთგულებას უცხადებს ქორწინების საიდუმლოს ქრისტიანულ გაგებას და კურთხევის პრაქტიკის, მაგრამ რეალურად ამ ერთგულებიდან მკვეთრ განდგომას პოსტულირებს. როგორც მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, ეს განდგომა ქრისტიანული ზნეობრივი იდეალის უარყოფას ნიშნავს.

ახალი გაგების შემოტანა, გარდა კურთხევის „კლასიკური“ გაგებისა (რომელიც უკავშირდება ღვთის ნების შესრულებას იმის მიერ, ვინც იკურთხება), დოკუმენტის ტექსტში არ არის დასაბუთებული წმინდა წერილით. ასეთი დასაბუთება არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან, არსებითად, კურთხევის შემოტანილი პრაქტიკა რადიკალურად ეწინააღმდეგება ბიბლიურ ზნეობრივ სწავლებას.

თეოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანის მიმართ ღვთის სიყვარულის ცალმხრივი და არასრული გაგება, როგორც ეს ამ დეკლარაციაში ასახული, საკმაოდ დიდი ხიფათის შემცველია. ამ გაგებით, ცოდვისა და მონანიების ცნებები ფაქტიურად ამოღებულია ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობიდან, რასაც ისეთ პარადოქსულ ლოგიკასთან მიყვავართ, სადაც ცოდვითი ურთიერთობების მქონე ადამიანები მიმართავენ არა მონანიებასა და სულიერ ღვაწლს, არამედ რაღაც სახის კურთხევას „განკურნებისა“ და „ამაღლების“ მიღების იმედით. ამასთან, დეკლარაცია არ ასახავს იმ ფაქტს, რომ „განკურნებას“ და „ამაღლებას“ წინ უნდა უძღოდეს, სულ ცოტა, ცოდვითი ურთიერთობების უარყოფის სურვილი.

ქრისტიანულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში ეს დოკუმენტი შეიძლება აღქმულ იქნას როგორც რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ გადადგმული ნაბიჯი „ერთნაირსქესიანთა კავშირების“ ნორმად აღიარებისკენ, რაც უკვე მოხდა მთელ რიგ პროტესტანტულ თემებში.



სამწყემსო მზურნველობას ყველა მორწმუნე საჭიროებს, მათ შორის ჰომოსექსუალური მიდრეკილების მქონენიც, მაგრამ ეს სამწყემსო მზურნველობა უნდა იყოს მიმართული არა ცოდვილი ცხოვრების წესის დაკანონებაზე, არამედ ტანჯული სულის განკურნებაზე, როგორც ამის შესახებ სამართლიანად არის ხაზგასმული „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლებში“: „ჰომოსექსუალური მიდრეკილებები, ისევე როგორც სხვა ვნებები, რომლებიც ტანჯავს დაცემულ ადამიანს, იკურნება საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობით, ლოცვით, მარხვით, სინანულით, წმინდა წერილისა და წმინდამამებისეული ნაშრომების კითხვით, აგრეთვე, მორწმუნე ადამიანთა ქრისტიანული ერთობით, რომლებიც მზად არიან სულიერი დახმარების გასანევად. უდგება რა ჰომოსექსუალური მიდრეკილებების მქონე ადამიანებს სამწყემსო პასუხისმგებლობით, ეკლესია ამავე დროს მტკიცედ ეწინააღმდეგება ცოდვილი ტენდენციის „ნორმად“ წარმოჩენის მცდელობებს[38].

მიუხედავად იმისა, რომ „Fiducia supplicans“-ის დეკლარაცია არის კათოლიკური ეკლესიის შიდა დოკუმენტი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავის მოვალეობად თვლის, უპასუხოს ისეთი რადიკალური სიახლეების გამოვლენებს, რომლებიც უარყოფენ ქრისტიანული ზნეობის ღვთივგაცხადებულ ნორმებს. ეკლესია დედობრივი სიყვარულითა და სულგრძელებით იღებს ნებისმიერ ცალკე აღებულ ცოდვილს, რომელიც მისგან ლოცვა-კურთხევას ითხოვს, მაგრამ ვერანაირი ფორმით ვერ აკურთხებს „ერთნაირსქესიან წყვილებს“, რადგან ეს იქნებოდა ცოდვილი ხასიათის მქონე კავშირზე ეკლესიის ფაქტობრივი თანხმობა.

---

**[1]** Fiducia supplicans. 31.

**[2]** «Responsum» ad «dubium» de benedictione unionem personarum eiusdem sexus et Nota explicativa: AAS 113 (2021), 431-434.

**[3]** Fiducia supplicans. 10.

**[4]** Fiducia supplicans. Предисловие.

**[5]** Fiducia supplicans. 9.

**[6]** Fiducia supplicans.26.

**[7]** რომის პაპი ფრანცისკე, პასუხები Dubia-ზე, რომლებიც შემოთავაზებულ იქნა ორი კარდინალის მიერ.  
[https://www.vatican.va/roman\\_curia/congregations/cfaith/documents/rc\\_con\\_cfaith\\_risposta-dubia-2023\\_....](https://www.vatican.va/roman_curia/congregations/cfaith/documents/rc_con_cfaith_risposta-dubia-2023_....)

**[8]** Fiducia supplicans. 13.

**[9]** Fiducia supplicans. Предисловие.

**[10]** Fiducia supplicans. 12.

**[11]** Fiducia supplicans. 12.

**[12]** Fiducia supplicans. 40.

**[13]** Fiducia supplicans. 22.

**[14]** Fiducia supplicans. 27.

**[15]** Fiducia supplicans. 29.

**[16]** Fiducia supplicans. 34.

**[17]** Fiducia supplicans. 43.

**[18]** Fiducia supplicans. 21

**[19]** Fiducia supplicans. 4.

**[20]** О канонических аспектах церковного брака. I.

**[21]** Fiducia supplicans. 31.

**[22]** Fiducia supplicans. 31.

**[23]** Fiducia supplicans. 31.

**[24]** რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლები. XII, 9.

**[25]** Fiducia supplicans. 30.

**[26]** Fiducia supplicans. 31.

**[27]** Fiducia supplicans. 33.

**[28]** Fiducia supplicans. 35.

**[29]** Fiducia supplicans. 35.

**[30]** Fiducia supplicans. 36.

**[31]** Fiducia supplicans. 36.

**[32]** Fiducia supplicans. 40.

**[33]** ასტანაში წმინდა მარიამის მთავარეპარქიის განცხადება „Fiducia supplicans“-ის დეკლარაციასთან მიმართებით, რომელიც გამოქვეყნებულია 2023 წლის 18 დეკემბერს სარწმუნოებრივი სწავლების დიკასტერიის მიერ და მოწონებულია პაპ ფრანცისკესგან. <https://catholic-astana.org/2023/12/19/zayavlenie-fiducia-supplicans/>

**[34]** ნიგერიელმა კათოლიკებმა უარი თქვეს ერთნაირსქესიანთა კავშირების კურთხევაზე.. <https://afrinz.ru/2023/12/nigerijskie-katoliki-otkazalis-blagoslovlyat-odnopolye-soyuzy/>

**[35]** <https://www.katolikus.hu/cikk/kozlemeny-52286114>

**[36]** ბელარუსის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის განცხადება „Fiducia supplicans“-ის სარწმუნოებრივი სწავლების დიკასტერიის დოქტრინალური დეკლარაციის შესახებ. <https://catholic.by/3/news/belarus/16874-pavedamlenne-kanferentsyi-katalitskikh-biskupa-u-belarusi-a...>

**[37]** რუსეთის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის (KKEP) პლენარული ასამბლეის LIX სხდომის ინფორმაციული შედეგობინება. <https://catholic-russia.ru/2024/informaczionnoe-soobshhenie-o-lix-zasedanii-plenarnogo-sobraniya-kon...>

**[38]** რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლები. XII, 9.

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/91616/>